



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

25/01 2013 წ.

თბილისი

№ 39

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ზოგიერთი საკადრო საკითხის
მოწესრიგების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სამინისტროს მოსამსახურე, ყოფილი თანამშრომელი ან/და მოქალაქე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ზოგიერთ თანამდებობაზე დაწინაურების, გადაადგილების, სამსახურში მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხების მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 17 დეკემბრის N988 ბრძანებით გათვალისწინებული სპეციალური გადამზადების კურსების ან/და სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გავლის გარეშე, 2013 წლის 31 მარტამდე შეიძლება დაინიშნოს შემდეგ თანამდებობებზე:

ა) დეტექტივ-გამომძიებლის, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის, უზნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის ან უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე;

ბ) ოპერატიულ ქვედანაყოფში განყოფილების უფროსის მოადგილის ან უფრო მაღალ თანამდებობაზე;

გ) პატრულ-ინსპექტორის ან მესაზღვრე-კონტროლიორის თანამდებობაზე;

დ) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ოცმეთაურის ან უფრო მაღალ თანამდებობაზე;

ე) საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორის (მაშველი), ინსპექტორის (მაშველი) ან უმცროსი ინსპექტორის (მაშველი) თანამდებობაზე.

2. ბრძანება გავცნოს დაინტერესებულ პირებს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი